

ავტორი: ღათო ქარჩავა

ქანრი: პროზა

გამოქვეყნების დრო: 2017-12-07 20:17:27

წიგნის ქურდი

წიგნის ქურდი

ბავშობაში ყოველთვის ვამბობდი, ერთადერთი რასაც მოვიპარავ წიგნია-მეთქი. გავიზარდე და ამიხდა კიდეც. იფიქრებთ, ამას რა დიდი ნიჭი უნდაო მაგრამ, რაღაც ხომ მაინც სჭირდება. აი, მაგალითად ეონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობა, სიღარიბე. თუმცა ამ მდგომარეობასთან საკუთარი მიდგომა მაქვს.

დილით როცა დგები, გინდა მოიღულო ყავა მაგრამ მხოლოდ ორი ნამცეცი გაქვს დარჩენილი. შემდეგ ამ ორ ნამცეცს პრდაპირ ჭამ, (მთლად მშრალზე ხომ ვერ იქნები) გინდება სიგარეტი, რომელიც არ გაქვს და ხვდები რომ ის ორი ნამცეცი გყუილად გადასანსლე. ყოფილიყო, რას ერჩოდი?!

უბრუნდები ჩემს ჩვეულ მდგომარეობას. დავდივარ ოთახში და ბოლოს ვცემ. ვჯდები სკამზე და უკვე ასჯერ წაკითხულს ასმეერთეჯერ ჩავკირკიტებ. ასეთ დროს კი, საინტერესო, მოგეხსენებათ მუდამ ახლის დანახვაა. პოეტობაც, მწერლობაც ესაა, უმნიშვნელო რამის გასისხლხორცება. მოკლედ, დიაგნოზი, რომლისგან განკურნება გყუილი ამბავია.

წარმოიდგინეთ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც დადის ქუჩებში, იყურება ვიგინების კენ, ტკბილად ესალმება ბუკინისგებს, მაგრამ ეს არის და ეს. ყველაზე დიდი ნარკოტიკი წიგნია, რომელზეც დამოკიდებულება არ კლავს. ამას არ გავაგრძელებ, რადგან ფილოსოფიურ ჭრილში არ ამოვეყოთ თავი.

გავაგრძელებ მეორე წინადადებას, თუ როგორ ამიხდა ბავშვობაში ნათქვამი. შეიძლება ამას წინასწარ ვხედავდი კიდეც.

ქუთაისის ერთ-ერთი ქუჩა, რომელიც საგსეა ყოველდღე დანაყრებული მამაკაცებით, ხელაკანკალებული მოხუცებით, რომლებიც ხელგაწვილნი სხედან გროგუარზე, ბავშვები დედების მოლოდინში და უამრავი მსგავსი რამ, გამორჩეული არის წიგნების მაღაზიითა და ბუკინისგებით. არ ვიცი, აკვირდებით თუ არა, მაგრამ მსგავს ადგილას არასდროს არ არის რიგი, არ გიწევთ მოცდა და ფეხზეც არც არავინ დაგაბიჯებთ. არა და რა სასიამოვნო იქნებოდა ეს დაბიჯება?! არავინ შემოგძახებდათ, "წინ გაიხედე, სად მიდიხარ, რომ მიდიხარ" და ა.შ დგახარ და უყურებ ხალხს, მწყურვალეს, დაცლილს, შემოქმედებით კრიზისში მყოფთ, რომლებიც დგანან და იცდნიან, სანტიმეტრებით იწვევენ წინ, უახლოვდებიან იმას, რაც წყურვილს მოუკლავთ, აავსებთ, თავს დაადგამს ამ შემოქმედებით კრიზისს, მაგრამ არა!

ვინაიდან და რადგანაც, ასეთი ფაქტს ვერ შევესწრებით, მე კი "ლომკა" მაქვს ახალი რამის წაკითხვის, (სხვათა შორის, არის კატეგორია, რომლებიც კითხობოლებ, მაგრამ სახლში აქვთ წიგნი თუ არა, არ აღარდებთ) ვლგები ბუკინისგებისგან შორს, გზის მეორე მხარეს, ვაკვირდები მათ, ვუცდი დაღამებას, ერთი სიგყვით ჩასაფრებული ვარ, როგორც ლომი ირემზე და ვამჩნევ რომ ეს ამოდენა წიგნების გორა, სახლში კი არ მიაქვთ, არამედ იქვე გოვებენ, აფარებენ კარდონებს, მოდიან მეორე დილით და ასე ყოველდღე.

ორი საათია. სანთლით რომ დაეძებდე, კაცს ვერ ნახავ. ვლგავარ ზურგჩანთით. "რომ არ გამომივიდეს, რომ დამიჭირონ?" ვეკითხები საკუთარ თავს და პასუხსაც იქვე ვამაგებ "რისთვის, წიგნის ქურდობისთვის?" - ბოლოს მეცინება და გროგუარზე გადავდივარ. ეს ჩემი პირველი ქურდობაა, ქურდობა წიგნებზე.

რომ მიუახლოვდი სასიამოვნო გარემო დამხვდა. დამავიწყდა უფულობა. ახლა ხელიდან ვერავინ გამომგლვჯს. დავიწყე კარდონების მოცილება, ვიღებ და ვლგე ჩანთაში. ეს პროცესი უნდა გამოსცადოთ, რომ მიხვდეთ რაზეც ვწერ. "ამას რომ ვალაგებ, სიბნელეა და ისეთი არ წავილო რაც წაკითხული მაქვს" - გამიელვა ამრმა ელვის სისწრაფით, მეც ასეთი სისწრაფით ვმოქმედებდი, ამ ამრამდე, ბოლოს დავიწყე ადგილზე კითხვა, გადახედვა და გარჩევა. მხოლოდ ასე თუ შევძლებდი იმის მოპარვას, რაც მჭირდებოდა.

ერთი საათიც არ დამჭირდა, ოცდაერთი მოვედით სახლში. ერთ წიგნს "გაიკი ომუ" ერქვა. დანარჩენს ვერ ჩამოვთვლი.

ადამიანი იწაფება იმაში რასაც აკეთებს, არ აქვს მნიშვნელობა რას: ხაგავს, წერს, ამენებს, თლის თუ ასე

შემდეგ, დაუსრულებლად, მეც ამ პირველი ქურდობის შემდეგ, გავთამამდი. ადრე თუ ბუკინის ცეცხლთან, ღამით დავლიოდი, ახლა წიგნის მაღაზიებს მივაშურე პირდაპირ. აი, დღეს, ამ წვიმიან ამინდში, მოვიცვი პალტო და "ბიბლუსს" მივაშურე. თავი არწივი მეგონა, რომ გადაიხვეწება ხოლმე საკვების მოსაგანად, დაახლოებით ისე.

ერთადერთი ხელს რაც მიშლის რიგია, რაც არ არის. არა და ასეთ დროს გჭირდება გამყიდველის ყურადღების გაფანტვა. ვდგავარ, თავზე მაწერია "ლიტერატურა" გვერდით პროზა და საერთოდ, ეს თანრიგი მოგეხსენებათ.

ვათვალისწინებ, ვეძებ იმას რაც არ წამიკითხავს. ამასობაში რელიგიის განყოფილებასთან ავლმოჩნდი, "ოჰ, ღერთმა მაპატიოს"- ვთქვი და გავშორდი. ეს მე, თორემ, არამგონია ღმერთს ეს სწყინდეს ან ბრამბლეოდეს.

აი, მხარშიც კი მიდგას. შემოდის ახლაგამრდა კაცი, რომელიც გეგონებოდათ გზას აცდა, დაღის წინ და უკან, ვერაფერს რომ ვერ მიაგნო გაჩერდა და გამყიდველს ეუბნება.

- ისეთი წიგნი მინდა, ჩემს მეგობარს რომ არ აქვს წაკითხული.

გოგონა იბნევა

- როგორ ბატონო?

- ყველაფერი წაკითხული აქვს. დღეს დაბადების დღე აქვს და მინდა წიგნი ვაჩუქო. მიუგებანე ერთი და ეს წიგნი შარშან წავიკითხეო, ეს იმის წინა და ასე.

- მითხარით რაიმე თქვენს მეგობარზე, მაგალითად პროფესია.

- მშენებელია.

- კაცი ყოფილა, ჩაილაპარაკა გამყიდველმა, ჩაიმუხლა და საქმეს შეუდგა.

მე კი დამავიწყდა რომ აქ წიგნის მოსაპარად შემოვედი და არა ვივლი მშენებლის ისტორიის მოსასმენად. კარგ მომენგს ხელიდან როგორ გავუშვებდი. ხელის აუკანკალებლად ავიღე ორი, ას ორმოცდაათ გვერდიანი წიგნი, ვაგრივალე და მეგონა ავგორიც გრძნობს ამას. ავგორის არ ვიცი, მაგრამ ერთი გამყიდველი რაღაცას გრძნობდა, თვალი არ მომაცლია და წამის იმ მუხლში, თავისი მრგვალი ტანით, მარცხნივ რომ შეგრივალდა, წიგნებს პალტოში ვუკარი თავი. გამოსვლა დავაპირე, გადავდგი ნაბიჯი და არა, იქიდან ერთი მეხვეწება "აქ არ დამგოვო," - მეორე თვალებში შემომციცინებს და არაფერს ამბობს, მესამეც თვით პალტოში მექაჩება, მაგრამ ეს ხომ მეგისმეტი იქნებოდა.

რამდენი წიგნია და რამდენი ცარიელი თავი, რომ აგრივალე მარცხნივ და მარჯვნივ.

მე წიგნების მოპარვას გადავწყვეტი, მაგრამ იმას რა ეშველება, ხალხი წიგნების მაღაზიას ისე უვლის გვერდს, დაკეტილია თუ ღია არც აინტერესებს.

შენ კი, თუ გწყურია, თუ გაქვს შემოქმედებითი კრიზისი, თუ კი დაიცალე და უბრალოდ, თუ ფული არ გაქვს, რომ წიგნი იყიდო და წაკითხო, გადაიკითხე ეს ხელმეორედ, მესამედ.

ამაზე ვერ დაგვიჭერენ და თუ დაგვიჭერეს, წიგნები იცყვიან ჩვენს მაგივრად.